საქართველოს პარლამენტის აპარატი

2579-2-4-2-201803061842

N 2579/2-4
06/03/2018

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS)"
დირექტორს, ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

(მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა №27)

GRASS
GEORGIAN DREAM
აააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 24
თარიღი: 9 03 2018 წ.

ბატონო პაატა,

თქვენი №3518 წერილის თანახმად, გიგზავნით 2016-2018 წლებში საქართველოს პარლამენტში შექმნილი და არ შექმნილი დროებითი საგამოძიებო კომისიების თაობაზე დეტალურ ინფორმაციას დანართის სახით.

დანართი: 3 ფურცელი.

პატივისცემით,
საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსი
ეთერ სვიანაიძე

ე. სვიანაიძე

საქართველოს IX მოწვევის პარლამენტში შექმნილი და არ შექმნილი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიები

№	საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის დასახელება	პარლამენტის დადგენილების ნომერი და თარიღი	შესწავლის საკითხი	შენიშვნა
1	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი სამხედრო მოსამსახურეების შესახებ საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის და მათი რუსეთის ფედერაციაში ექსტრადირების დანაშაულებრივი ხელშეწყობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია (საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, რ. გოცირიძე) წერილი №1078, 27.01.2017	№283-IIს 09.02.2017	დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საფუძველია ინფორმაცია: ა)სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირის კანონსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ, კორუფციული სამართალდარღვევის შესახებ, რომლებიც საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფო უშიშროებას, სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა ინტერესებს; ბ)სახელმწიფო ბიუჯეტის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის არამართლზომიერი ხარჯვის შესახებ და გ)რომლის შესწავლაც სახელმწიფო და საზოგადოებრივი თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.	არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული
2	„საქართველოს მთავრობასა და კომპანია გაზპრომ ექსპორტს შორის დადებული ხელშეკრულების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი	–	„გაზპრომ-ექსპორტთან“ დადებული ხელშეკრულების შესწავლა. კერძოდ, დადებული ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს, ასუსტებს ქვეყნის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და წამგებიანია საქართველოს	არ არის განხილული

	(საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“, რ. გოცირიძე) წერილი №2716, 24.02.2017		სახელმწიფო ბიუჯეტისთვის.	
3	„საქართველოს მთავარ აუდიტორის ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი (საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ და „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“) წერილი №7705, 15.05.2017	–	2017 წლის 12 მაისს საქართველოს მთავარ აუდიტორზე თავდასხმისა და მისი ჯანმრთელობის ხელყოფის ფაქტი.	განხილულია, მაგრამ კენჭი არ ეყარა
4	„აზერბაიჯანელ ჟურნალისტ, აფგან მუხთარლზე თავდასხმის, მისი გატაცების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი (საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ და „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“)	2033-IIს 23.02.18	აზერბაიჯანელ ჟურნალისტზე აფგან მუხთარზე თავდასხმის, მისი გატაცების, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე უკანონოდ გადაყვანის ფაქტი.	არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული

	წერილი №10055, 15.06.2017			
5	„საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის შემსწავლელი“ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ (საპარლამენტო უმცირესობაში შემავალი ფრაქციები: „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის-ევროპული საქართველო“ და „მოძრაობა თავისუფლებისთვის-რეგიონები“) წერილი (№13922, 04.09.2017; №13923, 04.09.2017).	–	საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის ივანე მერაბიშვილის საკნიდან შესაძლო გაყვანის ფაქტის შესწავლა. ასევე აღნიშნულტან დაკავშირებით მტკიცებულებების განადგურებისა და მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის სავარაუდო ფაქტების შესწავლა.	არ არის განხილული
6	„2017 წლის 21-22 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შესახებ დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე“ (საპარლამენტო ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა“) (წერილი №19794, 05.12.2017).	–	2017 წლის 21-22 ნოემბერს ქ. თბილისში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის გარემოებების შესწავლა.	არ არის განხილული